

შპს კეონი აკადემია

2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში
(იანვარი-დეკემბერი)

ანგარიშში წარმოდგენილია 2021 წლის იანვარი-დეკემბერი პერიოდში მუშაობის შედეგები შპს კეონი აკადემიის 2020-2026 წწ სტრატეგიულ მიზნებთან და 2021 წლის სამოქმედო გეგმასთან მიმართებით.

თბილისი

2021

სარჩევი

1. ხედვა, მისია , ღირებულებები ----- 3
2. 2020-2026 წწ სტრატეგიული მიზნები -----4
3. სტრატეგიული მიზანი 1 ხარისხზე ორიენტირებული საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარება -----5
4. სტრატეგიული მიზანი 2 ინსტიტუციური განვითარების ხელშეწყობა-----6
5. სტრატეგიული მიზანი 3 კონი აკადემიის ცნობადობის ამაღლება და საზოგადოებასთან ურთიერთობის სისტემის განვითარება-----7
6. სტრატეგიული მიზანი 4 ადამიანური რესურსების მართვის სისტემის განვითარება----- 8
7. სტრატეგიული მიზანი 5 პროფესიულ სტუდენტთა სერვისების განვითარება-----8

შპს კეონი აკადემიის ხედვა, მისია , ღირებულებები

აკადემიის მისია თმისა და სილამაზის მომსახურების სფეროში ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი, კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მქონე სპეციალისტების მომზადება.

აკადემიის ხედვა იყოს ადგილობრივ ბაზარზე წამყვანი, ხარისხზე ორიენტირებული სასწავლო დაწესებულება თმისა და სილამაზის მომსახურების სფეროში, რომელიც ვითარდება ინოვაციური მიდგომებისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვის საფუძველზე. ასევე მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის ხელშეწყობა, რაც გამოიხატება დაინტერესებული საზოგადოებისათვის სწავლების მრავალფეროვანი შესაძლებლობების შეთავაზებით.

აკადემიის ღირებულებებია:

- პროფესიონალიზმი;
- ხარისხზე და განვითარებაზე ორიენტირებულობა;
- გუნდურობა;
- სოციალური პასუხისმგებლობა;

შპს კეონი აკადემიის 2020-2026 წწ სტრატეგიული მიზნები

სტრატეგიული მიზანი 1 ხარისხზე ორიენტირებული საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარება;

სტრატეგიული მიზანი 2 ინსტიტუციური განვითარების ხელშეწყობა;

სტრატეგიული მიზანი 3 კეონი აკადემიის ცნობადობის ამაღლება და საზოგადოებასთან ურთიერთობის სისტემის განვითარება;

სტრატეგიული მიზანი 4 ადამიანური რესურსების მართვის სისტემის განვითარება;

სტრატეგიული მიზანი 5 სტუდენტური სერვისების განვითარება;

სტრატეგიული მიზანი 1 ხარისხზე ორიენტირებული საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარება

აღნიშნული მიზნის მისაღწევად 2021 წლის იანვარი-დეკემბრის პერიოდში დაგეგმილი იყო შემდეგი ამოცანები: საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება, სწავლა/სწავლების ხარისხის უზრუნველყოფა და მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლების ხელშეწყობა.

საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება. აღნიშნული ამოცანა იანვარი-დეკემბრის პერიოდში მოიცავდა შემდეგ აქტივობებს: კვლევის კითხვარების განახლებას და კვლევის ორგანიზება, კვლევის შედეგების ანალიზს და საჭიროების შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შეტანას. 2021 წლის მარტში გადაიხედა აკადემიის დირექტორის 2020 წლის 12 ნოემბრის ბრძანება N 122 კეონი აკადემიაში კვლევების მეთოდოლოგიის წესი საჭიროების შემთხვევაში კვლევის კითხვარების განახლებისთვის. მსგავსი საჭიროება არ დამდგარა და შესაბამისად ცვლილებები აღნიშნულ წესში არ განხორციელებულა. ივნისში პროგრამების შეფასების მიზნით განხორციელდა პროფესიული განათლების მასწავლებლების გამოკითვა. კითხვარი განთავსებული იქნა drive-ზე. ასევე განხორციელდა პროფესიული სტუდენტების კმაყოფილების კვლევა, რომელიც მოიცავდა საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებას. კვლევის შედეგები გაანალიზდა, ანალიზის საფუძველზე განხორციელდა პროგრამების: თმის მომსახურება და ფრჩხილის მომსახურება სასწავლო გეგმის ცვლილება. ასევე განხორციელდა პროფესიული მომზადების პროგრამების შეფასება ორი მიღების ფარგლებში. აღნიშნული შეფასების მიხედვით, პროგრამაში ცვლილებების შეტანის საჭიროება არ დამდგარა.

მტკიცებულებები: პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის ანგარიში;

<https://docs.google.com/forms/d/1xuIVYU->

[doxdzBdWAwBltc2w6K141_laq06Hq3Xw8qY/edit?usp=drive_web](https://docs.google.com/forms/d/1xuIVYU-doxdzBdWAwBltc2w6K141_laq06Hq3Xw8qY/edit?usp=drive_web) ხარისხის

უზრუნველყოფის მენეჯერის მოხსენებითი ბარათი N3764 23.08.2021 კეონი

აკადემიის დირექტორის 2021 წლის 8 ოქტომბრის ბრძანება N 1-44 კეონი

აკადემიის დირექტორის 2021 წლის 8 ოქტომბრის ბრძანება N 1-45 ხარისხის

უზრუნველყოფის მენეჯერის მოხსენებითი ბარათი N7329 24.11.2021

სწავლა /სწავლების ხარისხის უზრუნველყოფა. აღნიშნული ამოცანა იანვარი-დეკემბრის პერიოდში მოიცავდა შემდეგ აქტივობებს: ვერიფიკაციის მექანიზმის ამოქმედება, დისტანციური სწავლების მეთოდების დახვეწა,

დისტანციური შეფასების მეთოდების განვითარება; ვერიფიკაცია აკადემიაში განხორციელდა თმის მომსახურების და ფრჩხილის მომსახურების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების და მომზადების პროფესიული პროგრამების „ თმის შეჭრა“ , „ თმის ლეზვა“ და „ ფრჩხილის მოვლა-მოწესრიგების“ ფარგლებში, 2019-2020 და 2020-2021 სასწავლო წელს მიღებული პროფესიული სტუდენტების და მსმენელებისათვის. დისტანციური სწავლების მეთოდების გაუმჯობესების მიზნით აკადემიაში პერსონალისა და პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის 24 თებერვალს ჩატარდა სემინარი სილამაზის მომსახურების სფეროში ჰიბრიდული სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით. სემინარს უძღვებოდა KEUNE Haircosmetics საერთაშორისო ტრენერი Jon Withrington.

რაც შეეხება დისტანციურად შეფასებას, 26 თებერვალს პროგრამების ხელმძღვანელმა გაიმართა შეხვედრა პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ცენტრალიზებულად შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტების გაცნობის და ზოგადად შეფასების პროცესის სრულყოფილად წარმართვისა და ვალიდური შეფასების ინსტრუმენტების შექმნისთვის არსებულ მიდგომების გაცნობის მიზნით. ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე, მარტში შეფასებების პირისპირ განხორციელების ნებართვის მიღებიდან გამომდინარე დისტანციურად შეფასების პლატფორმა აღარ დაინერგა. მტკიცებულებები:

კეონი აკადემიის დირექტორის 2021 წლის 29 მარტის ბრძანება N1-14 კეონი

აკადემიის დირექტორის 2021 წლის 19 აპრილის ბრძანება N1-15 კეონი

აკადემიის დირექტორის 2021 წლის 8 ივლისი ბრძანება N1-22 კეონი

აკადემიის დირექტორის 2021 წლის 18 აგვისტოს ბრძანება N1-28 კეონი

აკადემიის დირექტორის 2021 წლის 29 სექტემბრის ბრძანება N1-38 კეონი

აკადემიის დირექტორის 2021 წლის 11 ნოემბრის ბრძანება N1-47 კეონი

აკადემიის დირექტორის 2021 წლის 8 დეკემბრის ბრძანება N1-49 ხარისხის

უზრუნველყოფის მენეჯერის მოხსენებითი ბარათი N 3272 13.07.21

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელის მოხსენებითი

ბარათი 3521 N 29.07.21 ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მოხსენებითი

ბარათი N 4959 05.10.2021 ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მოხსენებითი

ბარათი N 3829 27.08.2021

ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მოხსენებითი ბარათი N 7497 30.11.2021
ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მოხსენებითი ბარათი N 7861 13.12.2021

ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მოხსენებითი ბარათი N 7860 13.12.2021
შეხვედრების ამსახველი ფოტო მასალა, შეხვედრის დღის წესრიგი.

მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობა აღნიშნული ამოცანა იანვარი-დეკემბრის თვეში მოიცავდა შემდეგ აქტივობებს: არაფორმალური განათლების აღიარების მექანიზმის შემუშავება, კონსულტანტის მოძიება, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში განაცხადის წარდგენას უფლების მოპოვებაზე და მომზადება/გადამზადების პროგრამების დამატების საჭიროების განსაზღვრას. აკადემიაში შემუშავდა არაფორმალური განათლების აღიარების მექანიზმი, და ჩატარდა კვლევა მომზადება/გადამზადების პროგრამების დამატების საჭიროების და მიმართულების განსაზღვრისთვის. მიმდინარეობს მუშაობა არაფორმალური განათლების აღიარების კონსულტანტის მოძიებაზე.

მტკიცებულებები: კონი აკადემიის დირექტორის 2021 წლის 22 ნოემბრის ბრძანება N 1-46

ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მოხსენებითი ბარათი N 7565 02.12.2021

სტრატეგიული მიზანი 2 ინსტიტუციური განვითარების ხელშეწყობა

აღნიშნული მიზნის მისაღწევად 2021 წლის იანვარი-ივნისის პერიოდში დაგეგმილი იყო შემდეგი ამოცანები: ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა, მატერიალური რესურსების განვითარება, საინფორმაციო რესურსების განვითარება, ორგანიზაციული კულტურის განვითარება.

ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით აკადემიაში ამოქმედდა პროფესიული მომზადების პროგრამები. მასივი-ივნისის პერიოდში განხორციელდა „თმის შეჭრის“ და „ფრჩხილის მოვლა-მოწესრიგების“ პროგრამები ხოლო ოქტომბერი-ნოემბრის პერიოდში „ თმის შეჭრის“, „ თმის ღებვის“ და „ფრჩხილის მოვლა-მოწესრიგების“ პროგრამები საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურად დაცვის სამინისტროს ბენეფიციარებისთვის.

მტკიცებულებები: მომსახურების (პროფესიული მომზადება-გადამზადების კურსი) შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N0514-თ 21.04.2021 წ და

ხელშეკრულება N 0546-თბ 30.09.2021 კეონი აკადემიის დირექტორის ბრძანება N2-06 28.05.2021 კეონი აკადემიის დირექტორის ბრძანება N2-09 15.07.2021

კეონი აკადემიის დირექტორის ბრძანება N2-14 21.10.2021

კეკეონი აკადემიის დირექტორის ბრძანება N2-20 02.12.2021 კეონი

აკადემიის დირექტორის ბრძანება N2-2-21.16.12.2021 განათლების

მართვის საინფორმაციო სისტემა

მატერიალური რესურსების განვითარების მიზნით აკადემიის საბიბლიოთეკო რესურსი გამდიდრებულია ათი სახელმძღვანელოთი მტკიცებულება: www.keuneacademy.ge

პროფესიული სტუდენტებისათვის არსებული სამუშაო და დასასვენებელი სივრცე გაუმჯობესებულია, პროფესიული სტუდენტები კმაყოფილი არიან აღნიშნული სივრცით.

მტკიცებულება: პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის ანგარიში

შემუშავებულია სანიტარული ნორმების დაცვის მექანიზმი, მატერიალური რესურსების შეფასებისა და განკარგვის წესი

მტკიცებულებები: აკადემიის დირექტორის 2021 წლის თხუთმეტი თებერვლის ბრძანება N1-06 სანიტარული ნორმების დაცვის წესის დამტკიცების შესახებ; აკადემიის დირექტორის 2021 წლის ცხრამეტი თებერვლის ბრძანება N1-09 მატერიალური რესურსების შეფასების და განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ;

ორგანიზაციული კულტურის განვითარების მიზნით აკადემიაში 11 მარტს ჩატარდა შეხვედრა პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და პროგრამის ხელმძღვანელს შორის კალენდარული გეგმების შემუშავებასთან დაკავშირებით. ასევე 26 თებერვალს პროგრამების ხელმძღვანელმა გაიმართა შეხვედრა პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ცენტრალიზებულად შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტების გაცნობის და ზოგადად შეფასების პროცესის სრულყოფილად წარმართვისა და ვალიდური შეფასების ინსტრუმენტების შექმნისთვის არსებულ მიდგომების გაცნობის მიზნით. აღნიშნული შეხვედრები ატარებს პერმანენტულ ხასიათს.

მტკიცებულებები: შეხვედრის ასახვის ფოტო მასალა, დასწრების შევსებული ფურცლები; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელის მოხსენებითი ბარათი 3521 N 29.07.21 ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მოხსენებითი ბარათი N N 3272 13.07.2021

საინფორმაციო რესურსების განვითარების მიზნით შემუშავდა ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურა

მტკიცებულება: აკადემიის დირექტორის 2021 წლის ოცდახუთი თებერვლის ბრძანება N1-10 ინფორმაციული ტექნოლოგიის მართვის პროცედურის დამტკიცების შესახებ;

ამოქმედებულია ელ ფოსტის ერთიანი ჯგუფები პროფესიული სტუდენტებისათვის.

მტკიცებულება : აკადემიის ელექტრონული ფოსტა

თიმბილდინგის ორგანიზება-ქვეყანაში არსებული პანდემიური სიტუაციიდან გამომდინარე აღნიშნული აქტივობა 2021 წელს არ განხორციელებულა.

სტრატეგიული მიზანი 3 კეონი აკადემიის ცნობადობის ამაღლება და საზოგადოებასთან ურთიერთობის სისტემის განვითარება;

აღნიშნული მიზნის მისაღწევად 2021 წლის იანვარი-დეკემბრის პერიოდში დაგეგმილი იყო შემდეგი ამოცანები: კეონი აკადემიის პოპულარიზაციის ხელშეწყობა, პროფორიენტაციის სისტემის განვითარება და საზოგადოებასთან ურთიერთობის სისტემის განვითარება.

საქველმოქმედო ღონისძიების ორგანიზება საქართველოს კარიტასის მხარდაჭერით ივნისში გაიმართა საქველმოქმედო აქცია. კეონი აკადემიის თმის მომსახურების პროფესიული სტუდენტები ერთი დღით სტუმრად იმყოფებიდნენ საქართველოს კარიტასის ჰუმანიტარულ სასადილოში სადაც მოემსახურენ მათ ბენეფიციარებს. საქველმოქმედო ორგანიზება სამოქმედო გეგმის მიხედვით უნდა განხორციელებულიყო დეკემბერში, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ აკადემიას 2021-2022 სასწავლო წელს პროფესიული სტუდენტები არ მიუღია, აღნიშნული ღონისძიება ვერ განხორციელდა. მტკიცებულება: www.keoneacademy.ge

პროფესიული სტუდენტების ხელობის პრეზენტაციის და ნამუშევრების ონლაინ გამოფენისთვის აკადემიის ვებ გვერდზე განთავსდა 2020-2021 სასწავლო წელს მიღებული პროფესიული სტუდენტების ნამუშევრები.

მტკიცებულება: www.keuneacademy.ge

მომზადებულია პოტენციური სტუდენტებისათვის გაიდლაინი აკადემიის საქმიანობის შესახებ:

მტკიცებულება: www.keuneacademy.ge

სარეკლამო რგოლის მომზადება: მომზადებულია სარეკლამო ვიდეო კონი აკადემიის შესახებ.

მტკიცებულება: www.keuneacademy.ge

ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე ვერ განხორციელდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან ვიზიტი, თუმცა მოძიებული იქნა ხუთი სკოლა თბილისის მაშტაბით და მათთან გადაიგზავნა პრეზენტაცია კონი აკადემიის შესახებ:

მტკიცებულება: info@keuneacademy.ge

საზოგადოებასთან ურთიერთობის სისტემის განვითარების კუთხით დაწყებულია მუშაობა კონი აკადემიის ვებ გვერდის განახლებაზე, სისტემატურად თავსდება უახლესი ინფორმაცია აკადემიაში მიმდინარე პროცესების შესახებ; დაწყებულია ვებ გვერდის თარგმნა ინგლისურ ენაზე მტკიცებულება www.keuneacademy.ge სტრატეგიული მიზანი 4 პერსონალის საქმიანობის შეფასების სისტემის განვითარება აღნიშნული მიზნის მისაღწევად 2021 წლის იანვარი-დეკემბრის პერიოდში დაგეგმილი იყო შემდეგი ამოცანა: პერსონალის საქმიანობის შეფასების სისტემის განვითარება და ადამიანური რესურსების განვითარების ხელშეწყობა.

გადაიხედა კონი აკადემიის პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი პერსონალის შეფასების სისტემის გაუმჯობესების მიზნით, დოკუმენტში შევიდა ცვლილებები თუმცა არა აღნიშნულ ნაწილში, რადგან ის არ საჭიროებდა ცვლილებებს.

მტკიცებულებები: კონი აკადემიის დირექტორის 2021 წლის 26.06 ბრძანება N1-19

ადამიანური რესურსების განვითარების ხელშეწყობის მიზნით განხორციელდა პერსონალის პროფესიულ საჭიროებათა კვლევა, კვლევის შედეგად გამოიკვეთა აკადემიის პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის საჭირო

მიმართულებები იქიდან გამომდინარე, რომ 2021-2022 სასწავლო წელს აკადემიას პროფესიული სტუდენტები არ მიუღია, პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის ტრენინგები აღარ ჩატარდა. ასევე განხორციელდა ადმინისტრაციული პერსონალის შეფასება პროფესიული განათლების მასწავლებლების მხრიდან.

მტკიცებულებები: ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მოხსენებითი ბარათი N 3876 31.08.2021

ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მოხსენებითი ბარათი N 6230 19.10.2021
სტრატეგიული მიზანი 5 პროფესიულ სტუდენტთა სერვისების განვითარება

აღნიშნული მიზნის მისაღწევად 2021 წლის იანვარი-დეკემბრის პერიოდში დაგეგმილი იყო შემდეგი ამოცანა: პროფესიული სტუდენტების/მსმენელების უფლებათა დაცვის მექანიზმების განვითარება, ექსტრაკურიკულური აქტივობების განვითარება და პროფესიული სტუდენტებისათვის კონსულტაციისა და მხარდაჭერის სერვისების განვითარება.

პროფესიული სტუდენტების/მსმენელების უფლებათა დაცვის მექანიზმების განვითარების მიზნით ჩატარებულია პროფესიულ სტუდენტებთან საინფორმაციო შეხვედრები, გაზრდილია აკადემიის პარტნიორტი კოლეჯების რაოდენობა.

მტკიცებულებები: პროფესიულ სტუდენტთან ჩატარებული შეხვედრების ოქმები, ფოტო მასალა, დღის წესრიგი, პროფესიული სტუდენტის მიერ შევსებული შეფასების ფურცელი

სსიპ კოლეჯ ოპიზართან გაფორმებული მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ 04.11.2021

ექსტრაკურიკულური აქტივობების განვითარების მიზნით დაგეგმილი იყო შემდეგი აქტივობები: ვებინარების/სემინარების ჩატარება პროფესიული სტუდენტებისათვის, პროფესიულ სტუდენტთა პორტფოლიოების შექმნა, პროფესიულ სტუდენტთა/ მსმენელთა სერვისების განვითარების მიზნით კვლევის განხორციელება, სტუდენტური კონფერენცია.

წლის განმავლობაში პროფესიული სტუდენტებისათვის ჩატარებულია სამი სემინარი, შექმნილია პროფესიული სტუდენტების პორტფოლიოები, ჩატარებულია კვლევა პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა სერვისების განვითარების მიზნით ჩატარებულია კვლევა. აკადემიის ბაზაზე ჩატარებულია ერთი სტუდენტური კონფერენცია, გარდა ამისა კეონი აკადემიის პროფესიულმა სტუდენტებმა და პროფესიული განათლების მასწავლებელმა მიიღეს მონაწილეობა კერძო კოლეჯების ასოციაციის ორგანიზებით ჩატარებულ კონფერენციაში.

მტკიცებულებები: ჩატარებული კონფერენციის ამსახველი ფოტო მასალა, მომზადებული თემები, დღის წესრიგი.

პროფესიულ სტუდენტთა სერვისების განვითარების კვლევის ანგარიში

პროფესიული სტუდენტებისათვის კონსულტაციისა და მხარდაჭერის სერვისების განვითარების მიზნით დაგეგმილი იყო შემდეგი აქტივობების განხორციელება: პროფესიულ სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმის განვითარება, პროფესიულ სტუდენტებისათვის შესათავაზებელი დისტანციური სერვისების იდენტიფიცირება, დისტანციური სერვისების დანერგვა. განახლებულია დამსაქმებელთა ბაზა სამი ახალი დამსაქმებლით, თებერვალში ჩატარდა კვლევა პროფესიული სტუდენტებისათვის დისტანციურად შესათავაზებელი სერვისების

იდენტიფიცირების მიზნით, გამოიკვეთა ორი სერვისი საბიბლიოთეკო სერვისების გადისტანციურება და დისტანციური შეხვედრების ჩატარება. აკადემიაში დაინერგა დისტანციური შეხვედრების სერვისი. აღნიშნულ პერიოდში ჩატარდა ორი დისტანციური შეხვედრა პროფესიულ სტუდენტებთან.

მტკიცებულებები: დისტანციურად შესათავაზებელი სერვისების იდენტიფიცირების კვლევის ანგარიში, ამოქმედებული სერვისის ამსახველი ფოტო მასალა .